

შპს აგროკონსორციუმი "წეროვანი"

**ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ლარში)**

1. ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ

1.1. შპს აგროკონსორციუმი „წეროვანი“ (ს.კ. 236037917) რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. სარეგისტრაციო ნომერი 46/4-92 12.11.1996წ. მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ. მისამართი: ქ. მცხეთა, წეროვანი.

საწარმოს მფლობელები არიან:

- 1) ავთანდილ ჩინჩალაძე 37%
- 2) ჯუმბერ პატიაშვილი 30%
- 3) ლევან ბერიაშვილი 13%
- 4) ილია პატიაშვილი 10%
- 5) ლევან ბერია 5%
- 6) იონა ცქიფურიშვილი 5%

საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კვების პროდუქტების წარმოება (სპრედი, რძის შემცველი პროდუქტი, მაიონეზი, ჩილი) საბითუმო რეალიზაცია და დისტრიბუცია სავაჭრო ობიექტებზე სადისტრიბუციო მანქანების საშუალებით.

2. მომზადების საფუძვლები

2.1. შესაბამისობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

საწარმოსათვის 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შესადარის ინფორმაცია 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ფასს ნაშთებს 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

2.2. ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ასევე ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადექვატურობის შეფასებისას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო მომავალში დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას საქმიანობის პროცესში.

2.3. ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რიცხვები დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე ლარში.

3. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა

3.1. აღრიცხვის საფუძვლები

სააღრიცხვო პოლიტიკა ემყარება და მისი შემუშავებისას გამოყენებულია კანონი „მეწარმეთა შესახებ“ და კანონი „საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მსს ფასს სტანდარტები, საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის განსხვავებები, საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ანგარიშთა გეგმიდან დადგენილი სტრუქტურის შესაბამისად. ჯგუფისა და განყოფილების დაცვით ელექტრონულად საბუღალტრო პროგრამა „ფინაში“ საწარმო მიეკუთვნება მე-3 კატეგორიას და ყველა პროცედურა ხორციელდება წაყენებული მოთხოვნებისა და აღრიცხვის ისეთი პოლიტიკით, რომ შესაბამისობასი მოდიოდეს ანგარიშგებასთან.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული (პირვანდელი) ღირებულების კონცეფციის საფუძველზე ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას. საწარმო აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მიდინარეა, როდესაც:

მოსალოდენელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი ციკლის განმავლობაში.

მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში. აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა როდესაც:

მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალური საოპერაციო რეჟიმში. დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში.

არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას საწარმოს გრძელვადიან კატეგორიას აკუთვნებს.

3.2. უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის ოფიციალური ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში, უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.3. შემოსავლების და ხარჯების აღიარება

ყველა შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოძინება საწარმოში, ან შესაბამისად გადინება.

შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად გადახდის დროის მიუხედავად შემოსავლების შეფასება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

შემოსავლების აღიარება მათი სახეობების მიხედვით ხორციელდება შემდეგნაირად: შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაირთვება უკან დაბრუნებები.

შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც:

საწარმომ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი გადავიდა მყიდველზე.

საწარმოს აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შესაძლებელია შემოსავლისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების საიმედოდ შეფასება. **შემოსავალი სამსახურებიდან:**

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლის აღირება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ჩაბარებული მხარეთა მიერ. მომსახურების სახეები დეტალურად არის მოცემული მე-6 შენიშვნაში.

3.4. იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, როდესაც საწარმოს აქვს საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს, მაშინ გარიგება ითვლება ფინანსურ იჯარად, სხვა შემთხვევაში საოპერაციო იჯარად. საწარმოს საიჯარო ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე გარიგებები კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად. შესაბამისად, საწარმოს იჯარით აღებულ ქონებაზე გადასახდელები აღიარებულია ხარჯად.

3.5. ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტობრივ ხარჯზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს მათი შესყიდვის ფასს. შესყიდვის არაანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითად საშუალებები აისახება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული დანახარჯები აღიარდება ძირითად საშუალებად და აღირიცხება ცალკე იჯარაზე კაპიტალიზირებული ხარჯები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით.

ცვეთა

ფასს-ის მიზნებისათვის ცვეტის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ცვეტის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით (წრფივი მეთოდით) რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მისაღები სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

ცვეტის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოყენებისათვის და ერიცხება სარგებლობაში არსებული ვადის პროპორციულად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განსაზღვრულია ტრანსპორტისათვის 5 წელი, საოფისე ინვენტარი 5 წელი. სამაცივრე საშუალებებისათვის 5 წელი, სამაცივრე ნაგებობისათვის 7 წელი, იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობისათვის გამოყენების ვადის შესაბამისად.

აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველწლიურად და დაკორექტირდება საჭიროებისამებრ.

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება არაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი გამოითვლება, როგორც სხვა გასხვისებიდან მიღებულ (მისაღებ) წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალში.

3.6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები განისაზღვრება მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს შემცირებადი ნაშთის მეთოდის საფუძველზე (წრფივი მეთოდით) მათი სასაურგებლო ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 15%-ს.

3.7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები თავდაპირველი აღიარების დროს ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე ტრანსპორტირების, საბაჟოს და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარაგი აისახება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო განაყიდი ფასი პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

3.8. ფინანსური ინსტრუმენტები

საწარმოს ფინანსურ ინსტრუმენტებს აღრიცხავს ბასს 39-ის მოთხოვნების შესაბამისად. ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა არსებული საბაზრო ინფორმაციისა და შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები.

ფულადი სახსრების სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება დიდწილად ტოლია მათი საბალანსო ღირებულების, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო.

გრძელვადიანი პროცენტის სესხების სამართლიანი ღირებულება ფასდება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით, ანგარიშგების თარიღისათვის არსებული საბაზრო განაკვეთებით, რომელთა სამართლიანი ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი საბალანსო ღირებულების.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი წილი გადადის მესამე მხარეზე.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარების წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში, ფინანსური აქტივების გაუფასურება.

საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმო აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ფინანსური აქტივი გაუფასურებლად განიხილება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური ნიშნები და ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ. („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნო შეფასებაც შესაძლებელია.

გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს შესაბამისი თანხის გადახდის ვადას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა.

საწარმო ჯგუფურად აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას. აქტივების საბალანსე ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საშუალებით, ხოლო ზარალის თანხის აღიარება ხდება მოგება-ზარალში. მისაღები დებიტორები მათთან დაკავშირებულ რეზერვებთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების რეალური პერსპექტივა არარსებობს, უზრუნველყოფის ყველა საგანი გადაცემული ან რეალიზებულია საწარმოსათვის. თუ მომდევნო წელს გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომ დამდგარი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით ჩამოწერის ამოღების შემთხვევაში იგი აისახება მოგება-ზარალში.

3.9. არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების თარიღისათვის საწარმო აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები, ასეთის შემთხვევაში საწარმო განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას.

გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივების დაჯგუფება ხდება ინდივიდუალურად და როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებლად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

3.10. შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დადგენილი სამტატო განაკვეთების შესაბამისად.

3.11. კაპიტალი

საწარმოს საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით. ცვლლებები წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში) ხორციელდება საწარმოს დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწარმოს საკუთარი კაპიტალი მოიცავს გაუნაწილებელ მოგებას.

4. შემოსავალი რეალიზაციიდან **2019 ----- 2018**

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	13832446	14069927
--------------------------------	----------	----------

5. რეალიზება თვითღირებულება **2019 ----- 2018**

გაყიდული საქონლის თვითღირებულება	13830234	13393801
----------------------------------	----------	----------

6. სხვა საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლები **2019 ----- 2018**

სხვა შემოსავალი	3673	687
საკურსო სხვაობით მიღებული სარგებელი	--	--

7. ადმინისტრაციული, საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები

სარეკლამო ხარჯები	97	847
შრომის ანაზღაურება	535020	770849
საიჯარო ქირა	41700	40122
სატრანსპორტო (დისტრიბუციის) ხარჯები (საწვავით)	159208	155839
ცვეთა	171918	170555
საოფისე ხარჯები (კანცელარია)	2461	4223
რემონტის ხარჯები	33256	39835
საპროცენტო ხარჯ. ბანკის საგარანტიო მომსახურებაში		
საპროცენტო ხარჯი სესხზე	182030	132076
ბანკის საკომისიო	9015	27274
სხვა საგადასახადო ხარჯი (ქონება, მიწა, ბუნებრივი რესურსი)	21880	22609
ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული ზარალი	--	--
იჯარით გაცემული ინფრასტრუქტურაზე გაწეული ხარჯი	--	--
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის გაუქმებით მიღებული ზარალი	--	--

საპენსიო	7172	
საქონლის გაუფასურების ხარჯი		
მიწოდების ხარჯი (ბონუსები)	240533	292669
ა/მ დაზღვევა	12823	11284
კონვერტაცია	7613	7954
ელ.ენერგია	--	--
ინვენტარი	17336	41696
კომუნიკაციის	6642	7735
აუდიტორი	8000	8000
ადვოკატი, პატენტრწმუნებული	6605	1599
ობიექტის დაცვა	1881	1881
ექსპერტიზა (მიკრობიოლოგიური კვლევა)	2285	7615
ინტერნეტი კომპიუტერი	8768	8315
დეზინფექცია, სპეცანსაცემელი, დასუფთავება	20680	42623
უიმედო დავალიანება	--	7979
სხვა ხარჯი	7780	16848
ფოსტა, ტრანსპორტირება	2020	7159

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებს/ვალდებულებებს და მათ საბალანსო ღირებულებას შორის. შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის დროებითი განსხვავების გამო 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს გააჩნდა გადავადებული მოგების გადასახადი აქტივის სახით, საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების შედეგად შეიცვალა მოგების გადასახადის დაბეგვრის რეჟიმი, შესაბამისად მოგების გადასახადის აქტივის გამოყენების შესაძლებლობა მოისპო. საწარმომ აღნიშნული აქტივის ჩამოწერა ასახა მოგება-ზარალში.

8. ფინანსური ხარჯი

2019 ----- 2018

საპროცენტო ხარჯი ბანკის საგარანტიო მომსახურებაზე	182030	132076
საპროცენტო ხარჯი საბანკო სესხზე	182030	132076

ბანკის საკრედიტო ხელშეკრულებაში გარანტორს პირადი ქონების უზრუნველყოფით წარმოადგენს დამფუძნებელი.

9. მოგების გადასახადის აღრიცხვა

მოგების გადასახადის გაანგარიშება 2017 წლიდან ესტონური მოდელის ახალი კანონით, საგადასახადო კოდექსის 98-ე პრიმა მუხლებით საწარმო საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება მომავალ პერიოდში მოგების განაწილების დროს, სრულად განაწილების შემთხვევაში.

2019 ----- 2018

დარიცხული მოგება	-185309 (ზარალი)	+286607
------------------	---------------------	---------

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დარიცხული ფინანსური მოგების გადასახადის გადახდა ხორციელდება დივიდენდების გაცემისას. ხოლო სხვა დანარჩენ ოპერაციებზე დარიცხული „მოგების გადასახადი“ აღირიცხება როგორც „სხვა საგადასახადო ხარჯი“.

10. კაპიტალი

მფლობელის კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, რომლის აღიარებაც მოხდება როგორც საწარმოში დამფუძნებლის შენატანი, სამართლიანი ღირებულების შენატანის განხორციელების მომენტში, საწესდებო კაპიტალში შენატანი არ განხორციელებულა.

11. დივიდენდის განწილება

დივიდენდი აღიარდება ვალდებულებად, მისი დეკლარირების მომენტში, როგორც წესი დივიდენდი ვალდებულად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც გადაწყდება მისი განაწილება.

ფულადი ნაკადების გაანგარიშება

	2019 წლის საანგარიშო პერიოდი	2018 წლის საანგარიშო პერიოდი
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	+15989129	+16247443
მომწ-მომსახ.დასაქმებულ პირებზე გაცემული სახსრები	-14352703	-13868963
სხვა გადასახადები გარდა მოგებისა	-772523	-1580862
საპენსიო	-4164	
ბანკის მომსახურება და კონვენტაცია	-16628	-35223
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	+843111	+762395
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა ძირითადების შესაძენად	-108365	-139662
საინვესტიციო საქმიანობაზე გამოყენებული ფულადი სახსრები	-108365	-139662
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	+956000	+2224550
სესხის ძირის გადახდა	-1338830	-2156684
სესხის %-ის გადახდა	-182030	-132076
დივიდენდის გადახდა	-133997	-450386
ნეტო ფულადი სახსრების საფინანსო საქმიანობიდან	+698857	+514496
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	471236	363099
ფულადი სახსრების წლის ბოლოს	507125	471236

არ არის მატერიალური სხვაობა ფულის სამართლიან ღირებულებას და საბალანსო ღირებულებას შორის.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2019 ----- 2018

სავაჭრო მოთხოვნები	1794345	1795715
გადახდილი ავანსები	113070	268012
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1907415	2063727

13. მარაგები

2019 ----- 2018

გადასაყიდად გამზადებული საქონელი	--	--
ძირითადი ნედლეული და შესაფუთი მასალა	820996	1224689
სულ მარაგები	820996	1224689

14. ძირითადი საშუალებები

N	დასახელება	მიწა	შენიშვნა- ნაგებობები	დანადგარები	ოფისის ალკურგილობა	ტრანსპორტი	იჯარით აღებული ქონება	არამატ.აქტივები	სსულ	შენიშვნა
1	2018 წლის დასაწყისში ქონების ღირებულება	47561	886301	787015	11229	212209	1235	37301	1982851	
2	2018 წელს დარიცხული ამორტიზაცია	--	21767	117020	1791	17948	519	11510	170555	
3	შეძენილი	500	3796	133135	626	--	--	1082	139139	

4	გაყიდული ან ჩამოწერილი	--	--	--	--	--	--	--	--	
5	2018 წლის ბოლოს ქონების ღირებულება	48061	868330	803130	10064	194261	716	26873	1951435	
6	2019 წელს დარიცხული ამორტიზაცია	--	21912	118309	1791	17580	443	11883	171918	
7	შეძენილი	--	7233	106500	--	--	--	1865	115598	
8	გაყიდული ან ჩამოწერილი	--	--	--	--	--	--	--	--	
9	2019 წლის ბოლოს ქონების ღირებულება	48061	85365	791321	8273	176681	273	16855	1895115	

31 დეკემბრის მდგომარეობით ,სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცხრილი, ხანდაზმულობის პერიოდი:

პერიოდი	<30 დღე	30-90 დღე	90-180 დღე	180-დღე 1 წელი	1 წელი- 3 წელი	< 3 წელი	ჯამი
	0	369215	224535	451965	748630		1794345

ინფორმაციის სესხის შესახებ:

	მიღებული სესხი	გადახდილი სესხი	დარიცხული %	გადახდილი %
2018	2224550	2156684	132076	132076
2019	956000	1338830	182030	182030

ქვეკონტრაქტით შესრულებული სამუშაოები

	2018 წ	2019 წ
მიღებული სამუშაო	0	0
მიღებული ავანსი	0	0
გაცემული სამუშაო	0	0
გადახდილი ავანსი	0	0

ფორმა N1- კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობა

შპს აგროკონსორციუმი წეროვანი 2019 წელი

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	507,125	471,237	
სავაჭრო მოთხოვნები	1,794,345	1,795,715	
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	113,071	268,586	
მარაგები	1,216,884	1,465,693	
- მზა პროდუქცია	395,888	240,573	
- სხვა	820,996	1,225,120	
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	24,878	9,574	
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	16,855	26,873	
ძირითადი საშუალებები	1,878,260	1,924,562	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები	198,847	198,847	
სულ აქტივები	5,750,265	6,161,087	
ვალდებულებები			

ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	588,132	317,958	
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	84,653		
საგადასახადო ვალდებულებები	101,972		
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	1,719,939	2,026,075	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	1,700		
სულ ვალდებულებები	2,496,396	2,344,033	
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	211,982	211,982	
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	648,378	1,211,563	
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები	2,393,509	2,393,509	
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი			
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)			
სულ საკუთარი კაპიტალი	3,253,869	3,817,054	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5,750,265	6,161,087	
ფორმა N2- კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგები			

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი	
ნეტო ამონაგები	13,836,119	14,069,927	
საქონლის გაყიდვიდან	13,832,446	14,069,240	
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა	3,673	687	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(12,476,409)	(11,940,743)	
საწყისი მარაგები	(1,465,693)	(1,842,813)	
მარაგების შესყიდვა	(11,551,851)	(10,780,171)	
გადამუშავების დანახარჯები	(675,749)	(783,452)	
საბოლოო მარაგები	1,216,884	1,465,693	
საერთო მოგება	1,359,710	2,129,184	
სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	(516,864)	(770,849)	
ცვეთა და ამორტიზაცია	(171,918)	(170,555)	
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი :	(182,030)	(132,076)	
იჯარის ხარჯი	(41,700)	(40,122)	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(447,198)	(635,067)	
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,359,710)	(1,748,669)	
საოპერაციო მოგება	-	380,515	

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	(185,309)	(93,908)	
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(185,309)	286,607	
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)	(185,309)	286,607	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(185,309)	286,607	
მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის			
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის			
მოგება/(ზარალი)			
-			
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის			
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)			

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	3,817,054	4,211,154	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(133,997)	(450,386)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(429,188)	(76,849)	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	133,135	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3,253,869	3,817,054	
ფორმა N3 - კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობა			
	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	843,111	762,395	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(108,365)	(139,662)	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(698,858)	(420,685)	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	35,888	202,046	
სავალუტო კურსის ეფექტი	-	93,908	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	471,237	363,099	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	507,125	471,237	

შპს აგროკონსორციუმი წეროვნის დირექტორი
ლევან ბერიაშვილი

